საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 22

ხუთშაბათი, სექტემბრის 15
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, სექტემბრის 18 ს დილის 10 საათზე საქართველოს მხედართა ძმათა სასაფლაოზე (რუსთაველის პრ. სამხედრო სობორო) გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

## საქართველოს თავდადებულ
## მხედართა

სულის მოსახსენებლად. მწირველია მისი უწმინდესობა სრულიად საქართველოს

კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი

პარასკევს, სექტემბრის 16 ს, დილის 10 საათზე ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი საზოგადო მოღვაწის და ისტორიკოს

## მიხეილ თამარაშვილის

სულის მოსახსენებლად მისი ტრაგიკულად დაღუპვის ათი წლის თავზე.

## რა განსხვავებაა?

ბევრსა ჰგონია, რომ ბოლშევიკების ეხლანდელი ეკონომიური პოლიტიკა (სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი) განმეორებაა მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკისა. რა განსხვავებაა?—ჰკითხულობენ, თავისუფალი ვაჭრობა, თავისუფალი ფასები, გადასახადები, სპეკულიაცია... ყოველივე ეს მაშინაც იყო, ეხლაც არის. აშკარაა, ბოლშევიკები იძულებული გახდენ, თვითონ აწარმოვონ ისეთი პოლიტიკა, რისთვისაც ებრძოდენ მენშევიკებს. ესაა მენშევიზმის გამარჯვება, თუმცა ძალა უფლება ბოლშევიკების ხელშია. ასეთია ზოგიერთის დასკვნა. ასე ჰფიქრობს, სამწუხაროდ ზოგი ჩვენი ამხანაგიც, რომელიც ჯეროვნად ვერ გარკვეულა ეკონომიურ საკითხებში.

ასეთი გაუგებრობა მით უფრო საკვირველია, რომ მენშევიკ-ბოლშევიკთა შორის ამ საკითხში ძირითადი, პრინციპიალი განსხვავება არის და ეს განსხვავება ეკონომიურ პოლიტიკაში გამოხატულია სრულიად სხვა და სხვა, დიამეტრალურად მოწინააღმდეგე მიზნებიდან. მენშევიკების მიზანი იყო ხელი შეეწყოთ კლასთა ფორმაციისათვის, ბოლშევიკების მიზანია ხელი შეუწყონ კლასთა გაუქმებას. ეს ორი მოწინააღმდეგე მიზნები, რა თქმა უნდა, გულისხმობენ ასეთსავე განსხვავებულ საშუალებებს.

მენშევიკები, როგორც ერთგულნი მიმდევარნი „მეცნიერულ“ მარქსიზმისა, ვერ უღალატებდენ მთავარ პრინციპს, რომ სოციალიზმის განსახორციელებლად აუცილებელი წინასწარი პირობაა კაპიტალიზმის უკიდურესი განვითარება, კონცენტრაცია-პროლეტარიზაციის დამთავრება. აქედან ლოღიკურად ასკვნიდენ: საქართველოში კაპიტალიზმის დასაწყისია მხოლოდ. არ არის კლასები მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დაპირისპირებული. არ არის განვითარებული ძლიერი ბურჟუაზია და ამიტომ არ არის ძლიერი პროლეტარიატი, ერთად ერთი კლასი მატარებელი სოციალისტური იდეისა და რევოლიუციონური ნებისა. მაშ ხელი უნდა შეუწყოთ ბურჟუაზიის განვითარებას, კაპიტალისტთა კლასის შექმნას, რაც ამავე დროს გაამრავლებს და გააძლიერებს მებრძოლ პროლეტარიატს. უბრალო ენით რომ ვსთქვათ, ეს ნიშნავს: ხელი შეუწყოთ ბურჟუაზიის გამდიდრებას, სპეკულიანტების გაკაპიტალისტებას, მთელი სიმდიდრის მათ ხელში დაგროვებას (კონცენტრაცია) და მშრომელი მასის გაყვლეფას, გაღატაკებას, გაპროლეტარებას (პროლეტარიზაცია). თუმცა ეს საშინელებაა, ტანჯვის გზაა, მაგრამ ამის თავიდან აშორება არ შეიძლება, ვინაიდან ეს ისტორიული აუცილებლობაა. ამაზედ იყო აგებული მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკა: კერძო საკუთრების განმტკიცება მიწაზედ და საზოგადოთ; უფასოდ ჩამორთმეული მიწებზედ ფასების დადება; (რომ ღარიბს ვერ შეეძინა და სულ გაპროლეტარებულიყო) ვაჭრობაში და წარმოებაში კერძო ინიციატივის გაბატონება საზოგადო სახელმწიფო ინტერესებზედ; დიდი ქარხნების და სამრეწველო დაწესებულებათა ხელშეუხებლობა; საპროფესიო მოძრაობის ალაგმვა, სატარიფო პოლიტიკის ცნობილი პოლიტიკა და მრ. სხვა მაჩვენებელია და დამახასიათებელი მენშევიკური პოლიტიკისა. ის იყო პოლიტიკა კლასთა ფორმაციისა. მენშევიკები ხელს უწყობენ კლასთა განვითარებას, ჩამოყალიბებას მშრომელთა ხარჯზე.

ჩვენ, სოციალისტ ფედერალისტები იმ თავიდანვე ვებრძოდით ამ მიმართულებას. რა მოსაზრებით? თუ კი კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარება საშინელი უბედურებაა, გლეხების განადგურებაა, მასის გაღატაკებაა, მისი უკიდურესობამდე გაყვლეფაა მდიდართა სასარგებლოდ; თუ კი ყოველივე ეს გვცით, შეგნებული გვაქვს, ამ შემთხვევაში, ჩვენი ვალია, ვებრძოლოთ კაპიტალიზმის ასეთ განვითარებას, რომ მასა, მშრომელი ხალხი ავაშოროთ, დიდ უბედურებას,

ა, თქვენ კაპიტალიზმის განვითარების წინააღმდეგი ბრძანებით. მაშ თქვენ მომხრენი ხართ ფეოდალიზმისა და თავად აზნაურების, თქვენ რეაქციონერები ხართ. ასე ასჯელობდენ ჩვენ შესახებ მარქსისტები.

ვინ იყო მართალი? ჩვენ უარვყოფდით და ვებრძოდით კაპიტალიზმის ცუდ მხარეებს და ვიწონებდით, ვღებულობდით კარგ მხარეს. ასეთია: ტეხნიკის განვითარება, მსხვილი წარმოების შექმნა, კოლექტიური ფორმა შრომისა და სხვა. ყოველივე ეს სიკეთეა, პროგრესია, მაგრამ ძვირად უჯდება მუშათა კლასს. ამიტომ უნდა ვეცადოთ და შევქმნათ მსხვილი წარმოება, განვავითაროთ კოლექტიური შრომა, შემოვიღოთ გაუმჯობესებული ტეხნიკა, მაგრამ თავიდან ავიშოროთ მუშების ექსპლოატაცია, რამდენაც კი შეიძლება ვებრძოლოთ მასის გაღატაკებას და ბურჟუაზიის განვითარებას, ე. ი. მოწინააღმდეგე კლასის გაძლიერებას. გვერდი ავუაროთ კერძო კაპიტალისტებს, შევქმნათ სიმდიდრე, გავზარდოთ საწარმოო ძალები, მაგრამ ისე, რომ ყოველივე ეს დაგროვდეს მშრომელთა ხელში და ნუ გადავა კონები კერძო კაპიტალისტების ჯიბეში.

ესაა შეგნებულად აღებული გზა სოციალიზმისაკენ, გზა, რომელიც გვიხსნის ბევრი უბედურებისაგან. ეს იყო გზა აქტიური სოციალიზმისა. რევოლიუციამდე ეს გზა იყო კოოპერატიული მეურნეობა: სასოფლო-სამეურნეო, მომხმარებელი და საწარმოო კოოპერატივების საშუალებით აღებ-მიცემისა და წარმოების მოწყობა. ესეც კაპიტალიზმი იყო, მაგრამ არა ბურჟუაზიული, არამედ კოოპერატიული.

რევოლიუციის შემდეგ შესაძლებელი გახდა ამ გზის გაფართოვება და გაღრმავება. და ჩვენც გადაჭრით დავადექით სახელმწიფო კაპიტალიზმის გზას, რომლის უპირატესობა ეძლევა საზოგადოებრივ წარმოებას, კოოპერატიულს, მუნიციპალურს და სახელმწიფოებრივს. ეს საკმაოდ გარკვეულად ჩამოაყალიბა პარტიის მეხუთე კონფერენციამ.

ამ რიგად ჩვენი გზაც იყო კაპიტალისტური, მაგრამ ის არ ჰქმნიდა ძლიერ ბურჟუაზიულ კლასს და თავის დღეს მის სასტიკ ბატონობას მეორე მხრით ხელს უწყობდა მშრომელი მასის გაღონიერებას ეკონომიურად და პოლიტიკურად.

წინააღმდეგ ასეთი სა[?]ი და ერთადერთი მისაღებ პოლიტიკასა ჩვენს პირობებში, მენშევიკებმა აირჩიეს გზა კაპიტალიზმის სტიქიური განვითარებისა, კლასთა შექმნა ჩამოყალიბებისა. მთელი მათი პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ ღარიბი წვრილი მესაკუთრე გაპროლეტარებულიყო და მდიდარი გაკაპიტალისტებულიყო. ამას ხელს უწყობდენ სახელმწიფოებრივ მაშტაბით. მუშების პოლიტიკურად ბატონობის დროს, ე. ი. როცა სახელმწიფო ძალა-უფლება მშრომელთა ხელშია, ასეთი პოლიტიკის წარმოება ყოვლად მიუტევებელია. მუშებისა და გლეხების ნამდვილი დიქტატურა ჩვენშიაო, ამბობენ მენშევიკები. იყო ეს დიქტატურა, მაგრამ მას იყენებდენ არა მუშების სასარგებლოდ. მენშევიკური დიქტატურის საშუალებით მუშათა კლასს უმოკლებდენ კაპიტალისტებს, ამდვილებდენ ექსპლოატაციას.

ბოლშევიკების ახალი კურსი—ესაა გზა სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისა, ჩვენი ძველი გზა. არის თუ არა განსხვავება ეხლანდელ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის? ეს იგივეა, რაც იყო თუ არა განსხვავება ჩვენსა და მენშევიკებს შორის? რასაკვირველია იყო, თორემ ისე არც ბრძოლა გვექნებოდა მათთან.

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი მშრომელთა ბატონობის დროს არის ისეთი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც აუქმებს, სპობს კაპიტალისტთა კლასს და მის ბატონობას. მენშევიკები კი ხელს უწყობდენ ამ კლასის შექმნას და გაძლიერებას. ესაა განსხვავება.

ომეგა.

## ფედერაციისკენ*)

I.

„დამოუკიდებელ საქართველოს“, „თავისუფალ“ სომხეთის, „მთლიან-მიუკერძოებელ“ აზერბეიჯანის სამი თვის წარსულს ჰქონდა ერთი დადებითი მხარე, ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა მასსებმა თავიანთ ტყავზე სცადეს, რომ განცალკევებული და კუთხურად გადაჭრილი პატარა სახელმწიფოთა არსებობა არ [?] პროლეტარიატის ინტერესების შემეცნებიდან, არამედ შედეგია მოწინააღმდეგე კლასსის პოლიტიკური ინტრიგისა, რომელიც „დამოუკიდებელ“ საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის ნიღაბის ქვეშ კლასიურ ანგარიშებს ემსახურებოდა.

ქართველი თავადი, სომეხი, მუსულმანი, თათარი ბეგი შიშით რა ოქტომბრის რევოლიუციას, რომელსაც გაეშალა მსოფლიო სოციალური რევოლიუციის დროშა და მაჰქონდა სიკვდილი პრივილეგიის ყველა მქონებლებისათვის, ხელიხელ ჩაკიდებული, როგორც ერთი და იმავე ექსპლოატაციის მქონელთ და გამყვლეფელ კლასის ნამდვილი შვილები, გამოგლიჯეს რევოლიუციონურ რუსეთს ამიერკავკასია და შექმნეს ჯერ პირველად „დამოუკიდებელი და სუვერენიული ამიერკავკასია“ (ეს კომედია ხდებოდა ამიერკავკასიის სეიმში) და შემდეგ შეეშინდათ, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და გლეხკაცობის ერთგული და განუყოფელი ჯარები გაიგებენ ამ დაბალ გაიძვერაობას, რომელიც ევროპიელ იმპერიალისტების ხელის ნიშნით იმართებოდა მასი შეურაცხებელი მტრების—თავადების, კაპიტალისტების და ბეგების მხრივ, უკანასკნელნი კიდევ მეორეთ გაყოფაგამოყვეს, დაყოფეს ამიერკავკასია და შექმნეს სამი პატარა სახელმწიფო (ეს კომედია ჰხდებოდა ტფილისში, ერევანში და ბაქოში მაისის 26—28), რომელთაც ისტორიული ერთად ერთი მიზანი იყო მუშათა კლასის რევოლიუციონური ძალის ჩახშობა, დაბნელება უმეცრებაში დაბნელებულ გლეხობის შეგნებისა. და უნდა ვსთქვათ, რომ კაპიტალიზმის „სოციალისტი“ აგენტები სინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მათ მოახერხეს ერთი წლითით

და ერწმუნებინათ თვით პროლეტარიატი, რომ ყველაფერი, რასაც ასრულებენ მენშევიკები, დაშნაკელები და მუსავატელები, ნაკარნახებულია ვითომ „ხალხურ“ ინტერესებით, გამომდინარეობს სოციალიზმის და ინტერნაციონალის ერთად ერთ სწორე შემეცნებიდან.

იმდენათ ოსტატურად „იმაშენიკეს“ და მოატყუეს მუშები და გლეხები, რომ სამი წლიწადი მხედრობის რიგებში საწყალი პროლეტარი იარაღით ხელში იცავდა სადახურის, საკოლლის, ქოლაგერანის საზღვრებს, სადაც ყველაფადნენ ჩვენ ხალხებს, იღვრებოდა სისხლი ლორეში, ყარაბაღში, ოსეთში, აფხაზეთში, ადაბაზში, ფოილოში „სამშობლოს“ უპატივს პატივის დახსნისთვის.

საკვირველი არ არის, რომ სამი წლის განმავლობაში არც ერთი საკითხი—პოლიტიკური თუ ეკონომიური ვერ გადასჭრეს ამ „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკათა პატრონებმა—მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავატელებმა.

ამიერკავკასიის სოვეტიზაციის შემდეგ საბჭოთა ძალა-უფლებას და კომუნისტურ პარტიას დაგვრჩა მძიმე მემკვიდრეობა მთელი რიგი საკითხებისა, რომელთაც გადაჭრას ამაოთ ელოდნენ ამიერკავკასიის მუშები და გლეხები არა თუ არ გადიჭრნენ პირიქით განზრახ არ იყს.

ჩვენ დღეს იძულებული ვართ უკან გადაგდებული საკითხები თითო თითო გარეთ გამოვიტანოთ და გადავჭრათ.

ამ საკითხთაგან ერთი და უმთავრესია ამიერკავკასიის მომავალ წესწყობილების, პოლიტიკურ ეკონომიური კონსტიტუციის, მისი პოლიტიკურ სახის საკითხი. ფაქტია, რომ ამიერკავკასია წარმოადგენს როგორც ეკონომიურად ერთი განუყოფელი მთლიანობას და საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი ერთმანეთს მხოლოდ ასრულებენ, არ შეუძლიათ ერთი უმეორეთ იცხოვრონ. ერთ ადგილას არის ქვანახშირი და მარგანეცი (შავიქვა), მეორე ადგილას არის სპილენძი და მარილი, მესამე ადგილას კი—ნავთი და თევზი; უკეთო არის ბათომი, არის აგრეთვე ჯულფა, ბაქო-ენზელი—ერთგვარი ეკონომიური ცხოვრების ერთ ძალიანი არტერიებია, მიმოსვლის საჭირო ზომები არიან. მენშევიზმის დაცემის წინ ყველა ვხედავდით თუ როგორ ჰკვდებოდა „დამოუკიდებელი“ საქართველო, მიუხედავად ანტანტის „დახმარებისა“, რადგან აზერბეიჯანს არ უნდოდა მისთვის ნავთი მიეცა; როგორც სომხეთი იხრჩობოდა შიმშილით, რადგან მენშევიკური ტფილისის გზით არ უნდოდათ მისთვის ფქვილი გაეგზავნათ; აგრეთვე აზერბეიჯანს ვერ შეეძლო მიეღო ნაყიდი საქონელი საზღვარ გარედან, რადგან არ აძლევდნენ თავისუფალი ვაგონები, ან ბათომის ნავთსადგურში „ნაციონალიზაციას“ ექვემდებარებოდა. ჩხიკვიშვილების და გიორგაძეების მხრივ ეკონომიური მთლიანობისაგან გამომდინარეობს ამიერკავკასიის როგორც პოლიტიკური ერთობა, განუყოფელი ერთეული.

ისრაელით თუ „მშვიდობიან“ კონფერენციებზე მენშევიკებმა, დაშნაკელებმა, მუსავატისტებმა ვერ შესძლეს თვით ინგლის ფრანგულ მარჯვე დიპლომატიის უმ ლელეს მფარველობის და ჩურჩილის ქვეშ გადაეჭრათ პოლიტიკური დავა ერთმანეთთან. თვით უმარტივესი საკითხები (ჯალალოღლი ან დასული „სომხეთია“ თუ „საქართველო.“) სადავოდ ხდებოდნენ, საკითხს დასვამდენ თუ არა ეროვნულ ნიადაგზე მაშინვე მივიდოდნენ წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის მასშტაბით. უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხების გადაწყვეტილობა არ იყო შედეგი მარტო შურისა. თვით ჩვენ—კომუნისტები, რომლებიც აღჭურვილნი ვართ უკეთეს სურვილებით, კიდევაც ვერ შევძლებთ გადავწყვიტოთ ყარაბაღის ან ზანგეზურის, ოსეთის ან აჭარის, ლორის ან ახალქალაქის აფხაზეთის ან ნახიჩევანის, ნუხის ოლქის ალბანის, ზანგიბასარის საკითხები, თუ კი გზის მაჩვენებელთ აზრად არ ექნებათ ყველა ქვეყნების და ყველა ენებზე მოლაპარაკე დაჩაგრულთა ინტერესები, თუ ჩვენ არ ვიხელმძღვანელებთ კლასიური მსოფლმხედველობით ამიერკავკასიის მუშათა მთლიანობის ინტერესებით.

მენშევიკებს უნდოდათ შეექმნათ „დიდი“ საქართველო. რა ვქნათ, რომ აფხაზეთი, ოსეთი, აჭარა, ლორე სხვანაირად ფიქრობდნენ...

დაშნაკელებს აგრეთვე უნდოდათ „დიდი და შეერთებული“ სომხეთი, მაშასადამე უნდა მიეღოთ ზანგიბასარი, ალბანი, ნახიჩევანი.

მუსავატი სისხლის სისხლით პასუხს სცემდა და თავის რიგზე სწმენდდა ყარაბაღს, გარს ურტყამდა ზანგეზურს, ხმლით ხოცავდა ერებს.

აი ასეთი სახე მიიღო ამიერკავკასიის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ და ერის სამტრო საკითხები ყლაპავდნენ ხალხურ მასების რევოლიუციონურ ენერგიას. მაგრამ კომუნისტური პარტია, ამიერკავკასიის საბჭოთა ხელისუფლება სხვანაირად, თავის ნაირად მოეპყრობოდა ამ მტკივან საკითხს და გადასჭრის მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატისტების მიერ არ გადაჭრილ, მათი თვალსაზრით „ვადაუჭრელ“ საკითხებს.

მ. ხართიანი.

*) ეს წერილი დაბეჭდილია „მესამე ინტერნაციონალის“ სომხურს კრებულში, შეიცავს რამდენიმე თავს, ვაცნობთ საზოგადოებას, ხოლო რედაქცია თავის აზრს გამოსთქვამს შემდეგ.

რედ.

## პრესა

გაზ. „კომუნისტი“ ცდილობს მაგალითებზედ გვიჩვენოს ბოლშევიკების ნაციონალური პოლიტიკა პრაქტიკაში.

„როგორ გავატარეთ ჩვენ საქართველოს სინამდვილეში პროლეტარიატის ნაციონალური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები? შევძელით თუ არა მშვიდობიანობის, სოლიდარობის და თანამშრომლობის დამყარებაო“... კითხულობს გაზეთი და თვითონვე უპასუხებს დადებითად. „ვერავინ უარყოფს, რომ თუ დღეს საქართველო წარმოადგენს მშვიდობიანობით მოცულ მხარეს, თუ აქ დაწყნარებულია ეროვნული შუღლი და სხვა, ეს შედეგია საბჭოთა ხელისუფლების, კომუნისტური პოლიტიკისა. (იხ. „ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა“, „კომუნისტი“ № 158)

არც ჩვენ უარვყოფთ, რომ დღეს საქართველო მშვიდობიანობით მოცული მხარეა, მაგრამ რად ივიწყებს „კომუნისტი“, რომ ეს „შეიარაღებული მშვიდობიანობაა“? ან სად ხედავს გაზეთი

ეროვნული ჩუღლის დაწყნარებას და სოლიდარობის, თანამშრომლობის დამყარებას, რომელიც სინამდვილეში სწორედ წინააღმდეგსა ვხედავთ? ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ გაიზარდა ეროვნული შუღლი და მტრობა, რასაც ხელს უწყობს არა კომუნისტური, არა პროლეტარული ნაციონალური პოლიტიკა. ყოველივე ამ-ს დასანახავად საჭირო გაზეთი, განიკურნოს პარტიული დალტონიზმისაგან, რომ მის თვალში მოვლენები აღიბეჭდოს ისე, როგორც სინამდვილეშია და არა გადასხვაფერებული.

კომუნისტურ ორგანიზაციების პასუხისმგებელ წარმომადგენელთა თათბირმა ამას წინად ცენიშნა ფაქტი ნაციონალიზმის გაზრდისა ამიერ კავკასიაში, „კომუნისტი" კი ირწმუნება,—ჩვენ ყველაფერი დავაწყნარეთო.

რომელსაც აფხაზეთის რევკომმა საბჭოთა სისტემის შემოღებასთან ერთად დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენ ეს ნაბიჯი დავგმეთ, ვინაიდან ვიცოდით, რომ ეს არ იყო აფხაზეთის მშრომელთა სურვილის და ინტერესების გამომხატველი. ჩვენ ამისათვის გაზეთი დაგვიხურეს, მაგრამ აფხაზეთის კომისრებს ამან ვერ უშველა. გამოირკვა, რომ საბჭოთა აფხაზეთს არ სურს ჩამოშორდეს საქართველოს და „დღეს თუ ხვალ აფხაზეთის მშრომელი ხალხი ისევ დაბრუნდება საბჭოთა საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიის თუ ფედერაციის საფუძვლებზედ", როგორც გვარწმუნებს გაზეთი. ეს თუ აგრეა, ცხადია, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება შეცდომა იყო და ეხლა მისი გამოსწორების საჭიროებაც ამისვე ამტკიცებს.

„კომუნისტი" კი წინააღმდეგსა ხედავს: „ჩვენმა აფხაზ ამხანაგებმა აიღეს სწორი კომუნისტური პოლიტიკის ხაზი", ადასტურებს გაზეთი ეხლაც, როცა ეს გეზი თვით აფხაზეთის ამხანაგებმა უარყვეს. თუ დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო სწორი პოლიტიკა, რისთვის სცვლით ეხლა მას ავტონომია-ფედერაციით?

წერილის დასასრულს გაზეთი ეხება ოსეთის საკითხსაც. „ვინ არ იცის სამხრეთ ოსეთის საშინელი აუწერელი ტრაგედია მენშევიკების ბატონობამ რომ დაატეხა თავსო?—ჰკითხულობს „კომუნისტი". ეს ყველამ იცის, მაგრამ იცის თუ არა გაზეთმა, რა საშინელი უბედურება დაატეხა თავს ცხინვალის რაიონის ქართველებს ბოლშევიკების გაბატონებამ საქართველოში? იცის თუ არა „კომუნისტმა" რამდენი ქართული სოფელი გაანადგურეს ოსებმა ამ კუთხეში, რამდენი სახლები და ცოცხალი ადამიანები დასწვეს ცეცხლში? იცის თუ არა აგრეთვე, რომ დღესაც ეს კუთხე ორად გაყოფილ მტრულ ბანაკს წარმოადგენს?

განა ამის დამალვა პოლიტიკაა და საქმეს უშველის?

## პროლეტარიატი და სამშობლო ენა

საბოლოო მიზანი, რომელიც პროლეტარიატს აქვს შეიცავს თანამედროვე საზოგადოების გაუქმებას, სოციალიზმის დამყარებას. ამიტომ ყოველი სოციალისტის მოვალეობას შეადგენს ხელი შეუწყოს იმ მოვლენის მოსპობას, რომელიც სოციალიზმის გამარჯვებას ხელს უშლის. ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ მოვლენის დაფასებისას, რასაც უნდა შეეხებოდეს ის: ხელოვნებას, ლიტერატურას, პრესას, ეკონომიურ პოლიტიკას თუ სხვ. სოციალისტი ყოველთვის პროლეტარიატის ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს; რევოლიუციის წარმატება მისთვის უმაღლეს კანონს უნდა წარმოადგენდეს.

მშრომელთა და სოციალიზმის გამარჯვების ინტერესების მიხედვით სოციალისტმა სამშობლო ენას კუთვნილი ადგილი უნდა მიანიჭოს, თუ კი სამისო ობიექტიური პირობები მას ხელს უწყობს, თუ არა და მის მოსაპოებლად ბრძოლა აწარმოოს. დღეს არავისთვის საკითხს არ წარმოადგენს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთათვის სამშობლო ენას და რამდენად დაინტერესებულია მის ხმარებაზე პროლეტარიატი. კოსმოპოლიტიური ფრაზეოლოგიის ხანამ დიდი ხანია განვლო, თანამედროვე რიგოლ უკიამ ძირბუდიანად შეარყია სოციალისტური თეორიები და ცხოვრების მკაცრმა სინამდვილემ სიტყვას საქმე დაუპირდაპირა. დიდი რუსეთის თვითმპყრობელობის წმინდა ტაძრის დანგრევის შემდეგ დამონებულმა ერებმა წამოაყენეს ეროვნული უფლებების მოთხოვნილება, რაც ნაკარნახევია არა ბურჟუაზიული მისწრაფებით, არამედ პროლეტარიატის ინტერესებით, რომლის მთავარ მოტივად უსათუოდ სამშობლო ენის და კულტურის თავისუფლება და უპირატესობა უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ის წარმოადგენს უალრეს საშუალებას პროლეტარიატის განვითარების შეკავშირებისა და უფლებათა მოპოების ბრძოლისათვის. პროლეტარიატის შეუგნებლობა უძლიერეს დაბრკოლებად უნდა ჩაითვალოს სოციალისტური წეს-წყობილების დამყარებისათვის, ხოლო მისი განვითარება სამშობლო ენისა და კულტურის გარეშე წარმოუდგენელია. სამშობლო ენის თავისუფლებისათვის ბურჟუაზიული სახელმწიფოების დამონებული ერების მშრომელი კლასი იბრძვის, რაც ბუნებრივი მოვლენაა, ხოლო პირდაპირ შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს, სამშობლო ენისათვის ბრძოლა, სადაც სოციალისტებია მთელი ძალა-უფლების ხელთამპყრობელი.

აშკარად უნდა ითქვას, რომ ჩვენში არ არის დაცული პროლეტარიატის ეს მთავარი უფლება, რომელიც ესოდენ საჭიროა სოციალიზმისათვის. დღეს ქართულ ხელოვნებაში, პრესაში, სახელმწიფო დაწესებულებაში, ყველგან, მმართველ პარტიაშიაც კი უცხო სული გაბატონებული, რაც არ უნდა ჩაითვალოს ნორმალურ სოციალურ მოვლენად. საქართველოს ცენტრში—ტფილისში იმართება უამრავი წარმოდგენა, ოპერები, იკითხება ლექციები და მოხსენებები, ყოველ გზა-ჯვარედინზე გაკრულია სააგიტაციო პლაკატები ამ ქაღალდის საარაკო სიძვირის დროს—ხოლო სულ რუსულ ენაზე. საკვირველი მოვლენაა. ახსნა-განმარტებას ვერავინ მოგვცემს, რისთვის ან ვისთვის იხარჯება აუარებელი თანხები ან რომელი ჩვენი მუშა კითხულობს ყოველივე ამას? ვისი ინტერესები მოითხოვს საქართველოში რუსული ენის და კულტურის გაბატონებას? ბურჟუაზიის თუ პროლეტარიატის? ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ პირველისათვის რუსული ენა ყოველთვის მისაწონია, მეორისათვის კი არასოდეს. ამას კარგათ უნდა ჩაუკვირდეს ყოველი ქართველი სოციალისტი და განსაკუთრებით მმართველი პარტიის ბანაკიდან, რათა საქართველოში იქმნეს ქართული ენა, ქართული ხელოვნება, პრესა და სხვა, რომელიც ერთად ერთი გასაგებია მუშათა უმრავლესობისათვის. ამას ვფიქრობთ არა ვიწრო ნაციონალისტური მიზნებით, როგორც ეს ზოგიერთებს ესმის, არამედ იმისთვის, რომ ამას მოითხოვს ქართველი მშრომელი მასსის და პროლეტარიატის ინტერესები, ამას მოითხოვს სოციალიზმის იდეა. დაუყონებლივ უნდა მოხდეს ხელოვნების გაერთიანება და მისი განცალკევება უცხო ხელოვნებისაგან, რათა ქართველმა მშრომელმა იგემოს და დააფასოს ყოველივე ის, რაც შეადგენს ეროვნულ ღირებულებას. ყველგან, თეატრში, პრესაში და სახელმწიფო დაწესებულებებში სავალდებულოდ და პასუხისაგების შიშით დაცული უნდა იქნეს სამშობლო ენა, რაც აწევს ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტის ღირებულებას და მშრომელი ხალხს კი გაუწევს უძლიერეს სამსახურს იმ ბრწყინვალე მომავლისათვის ბრძოლაში, რასაც სოციალიზმი ეწოდება.

ნიკიფორე ჭავჭანიძე.

## ბინის საკითხი

კარგად არ მაგონდება რომელი მათგანი სწერდა, მაგრამ ვიცი ბაკუნინი იყო თუ კროპოტკინი ამბობდა—ბინის საკითხი უდიდესი და უძნელესი საკითხია რევოლიუციისაო. მას მაგალითიც მოყავდა. პარიზის ცენტრში რომ მშვენიერი სახლებია, ყველას იქ ესურვება ბინის დაკავებაო. პარიზის ცენტრის რა მოგახსენოთ და ტფილისის ცენტრი კი ამ შემთხვევაში არა ნაკლები სურვილის საგანია. დღეს ტფილისში ბინის საკითხი თითქმის ისე მწვავედ სდგას, როგორც ამ რამდენიმე თვის წინეთ იდგა. ვერ მოხერხდა და ვერ ჩაეტია ტფილისის მცხოვრებნი ტფილისის სახლებში. ამ ნიადაგზე არა ერთი ბოროტმოქმედებაც ყოფილა. როგორც ვიცით საბინაო განყოფილების არა ერთი და ორი „მოღვაწე" იმსხვერპლა ბინის საკითხმა. ვფიქრობთ, რომ შესაძლებელი მსხვერპლი კიდევ იქნეს.

ვისაც პირადათ არ განუცდია ბინის ძებნა, მისთვის წარმოუდგენელია ის ტანჯვა, რომელიც უნდა განიცადო ჩვენ კურთხეულ ქალაქში. საერთოდ მიღებულად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ ტანჯვის გამოხატვა ყველაზედ უფრო დრამატურგებს შეუძლიათ და მისი გადმოცემა გენიალ მახიობებს. ჩვენ კი რა თქმა უნდა, ვერაფერს ვაგრძნობინებთ მკითხველს, მაგრამ ვისაც ერთხელ მაინც შეუვლია საბინაო განყოფილებაში, ის წარმოიდგენს, თუ რას ნიშნავს, რომ აილო სხვა და სხვა უბნებისათვის რვა ორდერი და ვერც ერთი ბინა ვერ იშოვო და ყველამ ფუჭად ჩაგიაროს.

ინგლისის მუზეი „უბედურებას" და „კატასტროფას" ასე განმარტავენ. ლოიდ ჯორჯი რომ წყალში ჩავარდეს და იხრჩობოდეს, ეს იქნება უბედურება, ხოლო რომ ვინმემ იგი ამოიყვანოს და დახრჩობას გადაარჩინოს ეს კი კატასტროფა იქნებაო. ჩვენ „უბედურებისა" და „კატასტროფის" განმარტებისათვის უფრო კარგი მაგალითები გვაქვს. უბინოდ დარჩენა უბედურებაა, მაგრამ საბინაო განყოფილებებთან საქმის დაჭერა კი ნამდვილი კატასტროფაა. ამიტომაც არის, რომ 8 ორდერის აღება უშედეგოდ დარჩა და ეხლა კი კატასტროფას ისევ უბედურება ვარჩიე და შევურიგდი იმ აზრს, რომ ბინა არასოდეს აღარ მექნება, სადაც შემეძლებოდეს ან კითხვა ან წერა, ან ერთი სიტყვით ადამიანური ცხოვრება.

რასაკვირველია პირადი ცხოვრება მოქალაქის საზოგადოებრივი მართველობისათვის იმდენათ დიდ მოვლენას არ წარმოადგენს, რომ მას სერიოზული ანგარიში გაეწიოს, მაგრამ ვინ იცის რამდენი მოქალაქე დღეს ისე ნერვებ აშლილი კატასტროფით, რომ არც წერა და ლაპარაკი შეუძლია ბინის საკითხზედ.

სახელმწიფოსა და ხალხის კეთილდღეობა კი სხვა გვარ საქმიანობას მოითხოვს. დღეს ბინები ისევ იმათ დარჩათ ვინც წინეთ „კარგად ცხოვრობდენ" და მეძლოთ და ქირის გადახდა, ხოლო მშრომელი ინტელიგენცია და განსაკუთრებით სტუდენტები, რომლებსაც წინეთ ბინა ტფილისში სრულიად არ გვქონდა ან სულ უბინოთ ვართ ან სადღაც სარდაფებში ვცხოვრობთ.

ფრიად საინტერესოა ვიცოდეთ ვისთვის არის „ზაბრანიროვანი" ოთახები, ან ვისთვის იქნება ახალი ფონდი ტფილისიდან გადასახლებულთა ბინისაგან?

ბინის საკითხი არც ისე პატარა საკითხია მუშებისათვის და იგი დიდ ყურადღებას მოითხოვს.

ხ.

## ახალი ამბები

— ძმათა სასაფლაოზე. კვირას, სექტემბრის 18-ს დილის 10 საათზე საქართველოს ხმედართა ძმათა სასაფლაოზე (რუსთაველის პროსპექტი. სამხედრო ტაძარში) გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი საქართველოსთვის თავგანწირულ მხედართა სულის მოსახსენებლად.

— აგურის ქარხნების ნაციონალიზაცია. სახალხო მეურნეო საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა აგურის ქარხნების ნაციონალიზაცია.

— მოსავალი ცხინვალის რაიონში. მოსავალი ცხინვალის რაიონში საშუალოა.

— მოსავალი ახალ-სენაკის რაიონში. ახალ-სენაკის რაიონში მოსავალი საშუალოზე მეტია.

— სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა. კვირას, ოქტომბრის 9-ს ტფილისში გაიხსნება სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა. სხდომები გაიმართება ხელოვნების სასახლეში (ყოფ. ხოშტარიას სახლი) სერგეევის ქ. № 13.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი [illegible]
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. დლონტი.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას რა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ აღძრას ყრილობისათვის სხვა და სხვა საკითხი 20 ენკენისთვემდე. საყრილობო საკითხს ამტკიცებს დრ. მთავარი კომიტეტი.

— როგორც გვაცნობეს „თეატრი და ცხოვრებას" და „უცხო სიტყვათა ლექსიკონის" ასოთ-ასაწყობში, რომელიც ამ ორი თვის წინად პოლიგრაფმა განყ. განკარგულებით დაიბეჭდა ა. წ. ენკენისთვის 7 გახსნეს და წაიღეს სხვა და სხვა ჯურა ასო და სასტამბო მასალა. იარაღები. მასთან ერთად წაღებულია სვეტებად აწყობილი, ექ. დადიანის გამო დაუბეჭდავი იოსებ იმედაშვილის რომანის „განახლებულ სიცოცხლის" გაგრძელება. ამ გვარად „თეატრი და ცხოვრების" გამოცემის საქმეს მოესპო ყოველივე სახსარი. მისი რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი მძიმე მდგომარეობაში შეიქმნა და ამ ქამად წევს თავის ბინაზე პრიუტის ქ. № 29.

## რუსეთი

მოსკოვი 11 სექ. პეტროგრადის ხუთ რაიონში 954 გადასინჯულ პარტიის წევრებში გამორიცხეს 85 წევრი. საერთოდ გამორიცხულია 20 პროცენტი წევრებისა.

ოდესა. 11 სექ. უკრაინის ტელეგრაფიული სააგენტო იტყობინება, რომ უკრაინის მთავრობამ ბესარაბია სამხედრო წესებზე გამოაცხადა.

მოსკოვი. 11 სექ. ომამდე რუსეთში შაქრის წარმოება იძლეოდა საშუალოდ 47 მილ. ფუთს ე. ი. 1 მეხუთედს მთელი ქვეყნის შაქრის წარმოებისას. 1919 და 1920 წ. რუსეთმა და უკრაინამ გამოიმუშავა მხოლოდ 4,85 მილ. ფუთი.

ოდესა. 5 სექ. სტამბოლში არიან 1500 მეტი რუსეთის მეზღვაურნი, რომელნიც მოვიდენ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ „ნავთსადგურებიდან. ისინი ზეით დგომლობენ, რომ გადაგზავნილ იქნენ რუსეთში.

ვარშავა. 6 სექ. პოლონეთში სამინისტროს კრიზისია. 13 სექ. მოწვეულ იქნება ახალი სეიმი. ნაციონალური მუშათა პარტიაც კი მოითხოვს სეიმის დაშლას და ახლის მოწვევას.

მოსკოვი. 11 სექ დანიის მბეჭდავთა პროფკავშირმა რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად გაიღო 3,000 კრონი.

მოსკოვი. 14 სექ. ლვოვიდან მოსული ცნობებით გაზეთი „წინ" ალნიშნავს მთელი პოლონეთის პრესის ამხედრებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 10 სექ. პოლონეთში აფიშის დებენ პროფესიონალური მოძრაობის მეთაურ მუშებს. მუშათა უბნებში ხდება გაჩხრეკა და მუშების ცემაც.

მოსკოვი. 12 სექ. ბილბაოში მუშამეტალისტებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მუშებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. მსხვერპლი ორივე მხრით არის. გაფიცულთა რიცხვი 15,000 მდე აღის.

მოსკოვი. 12 სექ. პოლონეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამხედრო მიზნებისთვის გადადებულ იქნება 61 მილიარდი მარკა.

სააგენტო „ჰავასის" ცნობით საფრანგეთმა მხარი არ დაუჭირა ერთა ლიგაში სამხედრო ბიუჯეტი შემცირებას.

მოსკოვი. 12 სექ. ქალაქი ანატოლიასი რომელიც მდებარეობს ჩრდილო ამერიკაში დიდათ დაზარალდა ცეცხლით. დამწვარია ქალაქის მესამედი ნაწილი.

პეტროგრადი. 11 სექ. „წითელი გაზეთის" ცნობით ცნობილი ელექტრისტი რიმიზოვი პეტროგრადიდან გაიქცა საზღვარგარეთ.

## უცხოეთი

ნიუ-იორკი. სექ. 1 ამერიკის დამხმარე კომიტეტმა მოაწყო საზავშვო დღესასწაული, რომლის შემოსავალი გადაეცემა რუსეთის დამშეულ ბავშვებს. ამერიკელ მუშებმა შექმნეს საერთო კომიტეტი რუსეთის დახმარებისათვის.

ლონდონი. სექ. 1. ინგლისის კომუნისტური პარტიის ინიციატივით ინგლისის უმთავრეს ქალაქებში მოწყობილ იქმნა „რუსეთის მუშათა კვირა."

პარიზი. სექ 1 რაინის გზელთა რევოლიუციონურმა კომიტეტმა მოუწოდა მუშებს ერთი დღის ჯამაგირის გადადებისათვის რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ.

ტრაპეზუნდი. სექ. 10. სმირნიდან მოსული ცნობით კოროლი კონსტანტინე თავისი შტაბით გადავიდა ბრუსეში.

საბერძნეთის პრესა დარწმუნდა, რომ სამხედრო გამარჯვება მათ მხარეზე აღარ არის და არავითარ ცნობებს აღარ იძლევა ფრონტის მდგომარეობის შესახებ.

ტრაპეზუნდი. სექ. 10 ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით ბერძნების საზიზღარი მოქმედება მუსულმანთა მიმართ უმაღლეს ხარისხს აღწევს.

ტრაპეზუნდი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო უარყოფს ცნობებს, ვითომც მუსტაფა ქემალ ფაშასა და სტამბოლს შორის მოლაპარაკება სწარმოებდეს.

## საქ.-სოც. ფედ. სარ. პარტიაში

ხუთშაბათს 15 სექტემბერს, პარტიის ცენტრალ ბიუროში დანიშნულია კრება საქ. სოც.-ფედერ. სარევ. პარტიის ზემდვიათი საქმის მუშა წევრებისა და მათი თანამგრძნობლებისა. გასარჩევია სასწრაფო საკითხები. ამხანაგებს ევალებათ დაესწრონ კრებას უკლებლივ. კრება დაიწყება საღამოს 6 საათზე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

**დაეკარგა** ვექსილის ბლანკი ს. გელოვანის სახელზე, მოცემული დანილია და ამეშა ბუზიაშვილისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

**დაეკარგა** სიმწიფის მოწმობა მოცემული ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის მიერ № 40, მეტრიკული ამონაწერი და სამხედრო ბეგარის მოწმობა № 2110 შალვა გიორგის ძე ხაინდრავას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

**დაეკარგა** პირადობის მოწმობა და სარევიზიო ცნობა მართვი ვასილ მიხეილის ძის გუგუშიძის სახელობაზე გაცემული. გაუქმებულად ჩაითვალოს.

მათემატიკის მასწავლებელი
**ივ. მარ. მაჩაიძე**
(ყოფ. გიმნაზიის დამთავრებ. და გამგე) **ამზადებს** ხაზინებში ხასწავლებლებში უფროს კლასებში შესასვლელად და მოწმობაზე. განმეორებითი სახ ფხულო გამოცდებზე მათემატიკურ საგნებში: ალგებრასა, გეომეტრიასა და ტრიგონომეტრიაში, გერმანულ და რუსულ ენებში. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5. ნახვა ყოველ დღე 7—8 ს. 3—6. 1284